მასწავლებლის წიგნი

ქართული ენა უცხოელი შემსწავლელებისთვის

სიმპოზიუმი

A2

ენის საფუძვლი

ნატა დავითაშვილი

აღმართი A2

მასწავლებლის წიგნი

მასწავლებლის წიგნში დეტალურად არის აღწერილი შემსწავლელის წიგნსა და სამუშაო რვეულში მოცემული თითოეული დავალების მიზანი. სავარჯიშოების ნუმერაცია მისდევს წიგნისა და რვეულის ნუმერაციას. მსგავსი ტიპის დავალებებთან დაკავშირებით არის მითითება – *იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით.*

ტერმინთა განმარტებისთვის (*გლობალური გაგება, სელექციური გაგება* და *დეტალური გაგება*) იხილეთ მეთოდური სახელმძღვანელოს თეორიული კურსი (თავი 2, გვ. 15).

მასწავლებლის წიგნზე მუშაობდნენ:

ავტორი — ნატა დავითაშვილი

რედაქტორი — მარიკა ოძელი

დამკაბადონებელი — ტატიანა საბანაძე

სახელმძღვანელო მომზადდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა „ირბახის“ ფარგლებში.

პროგრამის ავტორი და ხელმძღვანელი — მარიკა ოძელი

მასწავლებლის წიგნი

ISBN ©

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო,
ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა
„ირბახი“, 2017

გაკვეთილი 1

ჩემი ქართველი მეგობარი

წიგნი

1. პირველი დავალება გათვალისწინებულია მოსმენისა და ლაპარაკის უნარ-ჩვევების გასავარჯიშებლად. ამავდროულად, ეს არის ერთგვარად მოსამზადებელი დავალება. შემსწავლელი წინასწარ ეცნობა გაკვეთილში ასათვისებელ სიტყვებს, ისმენს და იმეორებს რამდენჯერმე.

2. მე-2 და მე-3 დავალებები ერთად უნდა შესრულდეს. შემსწავლელი ჯერ კითხულობს დიალოგს, შემდეგ ამოწმებს საკუთარ თავს, რამდენად სწორად გაიგო წაკითხული, აჯგუფებს ინფორმაციას დიალოგის პერსონაჟებზე.

3. მე-4 და მე-5 დავალებები სელექციური და დეტალური კითხვის უნარ-ჩვევების გავარჯიშებას უწყობს ხელს. ტექსტის კითხვის დროს ყურადღება გამახვილდება კონკრეტულად იმ ინფორმაციაზე, რომელზე პასუხიც უნდა გასცეს შემსწავლელმა. ხელს უწყობს ასევე ლექსიკის ათვისებას, კონკრეტულად ნათესაობის ლექსიკის.

4. მე-6 დავალებას წინ უძღვის გრამატიკული ფორმულა, ხმოვანფუძიანი და თანხმოვანფუძიანი საკუთარი არსებითი სახელები ნათესაობით ბრუნვაში კუთვნილების გამოხატვით. მე-6 დავალება კი ემსახურება ამ მასალის განმტკიცებას.

5. მე-7 დავალებაში მოცემული წინადადებები ემსახურება მანამდე ახსნილი გრამატიკული მასალის (დროის შუალედის გამოხატვა -იდან -მდე თანდებულების გამოყენებით) განმტკიცებას.

6. მე-8 დავალებამდე მოცემულია რთული სიტყვების მართლწერის გრამატიკული ფორმულა, რომლის პრაქტიკაში გამოყენება და განმტკიცება ხდება მე-8 დავალებაში.

7. მე-9 დავალების მიზანია მოსმენის უნარ–ჩვევის გავარჯიშება, სელექციურ გაგებაზე მუშაობა. შემსწავლელი უსმენს აუდიოჩანაწერს

და ყურადღებას ამახვილებს მისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციაზე გამოტოვებული ადგილების შესავსებად. ამავდროულად, ხდება განვლილი მასალის გამეორება-განმტკიცება.

8. მე-10 დავალება ლაპარაკის უნარ-ჩვევის განვითარებას უწყობს ხელს. სხვა დავალებებში მოცემული ტექსტების გათვალისწინებით, ამჯერად შემსწავლელი დასმული კითხვების მეშვეობით ისაუბრებს საკუთარ თავზე, ოჯახზე. დავალება ემსახურება ლექსიკაზე ვარჯიშსაც. უმჯობესია, დავალება შესრულდეს წყვილებში.

9. მე-11 დავალება წერის უნარ-ჩვევას ავითარებს. გაკვეთილიდან მიღებული ცოდნისა და მე-12 დავალებაში მოცემული მზა ფრაზების გამოყენებით შემსწავლელი დამოუკიდებლად დაწერს საკუთარი თავის შესახებ. დავალება ხელს უწყობს ნასწავლი მასალის განმტკიცებას.

რვეული

1. 1-ლი დავალება არის ლაპარაკის უნარ-ჩვევის გასავითარებელი. შემსწავლელს შეუძლია გადახედოს წიგნის მე-2 დავალებას და დაიხმაროს დიალოგში გამოყენებული ფრაზები პესონაჟების დასახასიათებლად.

2. მე-2 დავალება წიგნის მე-6 დავალების გრამატიკული მასალის განსამტკიცებელია, თუმცა, აქ საკუთარ არსებით სახელებს ემატება საზოგადო სახელებში კუთვნილების გამოხატვა.

3. მე-3 დავალება კითხვის უნარ-ჩვევას ავითარებს. აქ ყურადღება მახვილდება ლექსიკაზე. შემსწავლელისთვის მნიშვნელოვანია ზუსტად ამოიკითხოს საკვანძო სიტყვა, რომელიც საშუალებას მისცემს მოძებნოს ტექსტის შესაბამისი ფოტო და მიუსადაგოს მას.

4. მე-4 დავალება გრამატიკული მასალის გასავარჯიშებელია. შემსწავლელმა უნდა განარჩიოს -ზე / -ში თანდებულების ფუნქცია და სწორად ჩასვას წინადადებებში. დავალების შესრულებამდე მასწავლებელი დაწვრილებით უხსნის -ზე / -ში თანდებულიანი მიცემითი ბრუნვის ფორმას ადგილის გარემოების ფუნქციით.

განიხილავს თითოეულის გამოყენების წესს კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით.

5. მე-5 დავალება ითვალისწინებს ლექსიკაზე მუშაობას. შემსწავლელმა უნდა გაიხსენოს უკვე ნასწავლი სიტყვები და კონკრეტული განმაზოგადებელი სიტყვის (ტრანსპორტი, ოჯახი...) გასწვრივ ჩაწეროს მისი შესაბამისი ლექსიკური ერთეულები, რომლებსაც გაიხსენებს.

6. ლოგიკური კავშირების დადგენა-გამოყენების გასავარჯიშებლად შედგენილია მე-6 **ა** დავალება, რომელშიც ორ ბლოკად არათანმიმდევრულადაა მოცემულია წინადადების ნაწილები, ხოლო შემსწავლელმა უნდა იპოვოს შესაბამისი კავშირი და გაამთლიანოს წინადადებები.

ამგვარი დავალებების შესრულების წინაპირობა ის არის, რომ შემსწავლელს მოცემულ თემაზე წაკითხული და დამუშავებული უნდა ჰქონდეს შესაბამისი ტექსტი. ანუ, წერითი დავალების შესრულებამდე აუცილებელია, შემსწავლელს გააჩნდეს ე.წ. ტექსტის კომპეტენცია. მე-6 დავალებაში ეს პრინციპი გათვალისწინებულია, შესაბამის ტექსტს შემსწავლელი მანამდე, წიგნის მე-4 დავალებაში ეცნობა.

ბ დავალებაში შემსწავლელი ემზადება წერისთვის. მოცემული ტექსტის ალტერნატიული ტექსტის დაწერა ძალიან კარგი დავალებაა, სწავლების შედარებით დაბალ საფეხურზე არსებობს განსაზღვრული წესებიც: შემსწავლელს მიეწოდება ყალიბი (კონკრეტული დავალების შემთხვევაში ფრაზები), რომლის მიხედვითაც ის აწყობს საკუთარ ტექსტს.

7. იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 1, დავალება 9).

8. მე-8 დავალება წერის უნარ-ჩვევის განვითარებასთან ერთად შემსწავლელს ხელს უწობს შესწავლილი გრამატიკული მასალის განმტკიცებაში (დროის შუალედის გამოხატვა -იდან / -დან .... -მდე თანდებულების გამოყენებით). ამ დავალების შესრულების დროს შემსწავლელს შეუძლია ნასწავლი ლექსიკური მარაგის გამოყენება წინადადებების შესადგენად.

9. მე-9-მე-11 დავალებებში გრძელდება რთული სიტყვების, კომპოზიტების მართლწერაზე მუშაობა. ყურადღება მახვილდება

კუთვნილების გამომხატველ სიტყვებზე: ნათესაობის აღმნიშვნელ სიტყვებს+ჩემი / შენი / მისი / ნაცვალსახელები.

10. მე-10 დავალება წერის უნარ-ჩვევის გასავითარებელია. შემსწავლელი დამოუკიდებლად წერს მცირე ზომის ელექტრონულ წერილს წინარე ცოდნის გამოყენებით.

11. მე-12 დავალება დეტალური კითხვის უნარ-ჩვევას ავითარებს. შემსწავლელი ყურადღებით კითხულობს დიალოგის არეულ ფრაზებს და კონკრეტულ დეტალებზე დაკვირვებით ალაგებს მათ თანამიმდევრულად.

12. მე-13 დავალება A1 დონეზე შესწავლილი გრამატიკული მასალის გამეორება-გამტკიცებას ემსახურება. სადაურობის / წარმომავლობის სახელების წარმოება -ელ / -ულ / -ურ სუფიქსებით.

13. მე-14 დავალებით ხდება სელექციური მოსმენის უნარ-ჩვევის განვითარება. შემსწავლელი ცხრილში მოცემულ ინფორმაციას მოიძიებს და გადაამოწმებს ტექსტში, შემდეგ ამონიშნავს სწორ პასუხს.

14. მე-15 სავარჯიშო წერის უნარ-ჩვევის განვითარებას უწყობს ხელს. შემსწავლელები ადგენენ დიალოგებს მოცემული ნახატების მიხედვით. ამ დავალების გამოყენება ლაპარაკის უნარის განსავითარებლადაც შეიძლება. უკვე შედგენილ დიალოგებს შემსწავლელები წყვილებში გაითამაშებენ.

გაკვეთილი 2

ცოტა რამ საქართველოს შესახებ

წიგნი

1. იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 1, დავალება 1).

2. მე-2 და მე-3 დავალებები ერთად უნდა შესრულდეს. შემსწავლელმა ჯერ უნდა წაიკითხოს დიალოგი, შემდეგ ცხრილში მოცემულ არსებით სახელებს მოუძებნოს შესაბამისი ზედსართავი სახელები. ეს დავალებები ემსახურება ლექსიკაზე ვარჯიშს. მოიცავს ქვეყანათმცოდნეობითსა და კულტუროლოგიურ ასპექტებს, შემსწავლელი ეცნობა საქართველოს ბუნებას.

3. მე-4 და მე-5 დავალებები სელექციური კითხვის უნარ-ჩვევის გავარჯიშებას უწყობს ხელს. ტექსტის კითხვის დროს ყურადღება გამახვილდება კონკრეტულ ინფორმაციაზე, რომლითაც შემსწავლელი შეძლებს დავალებაში მოცემული ცხრილის შევსებას და კითხვებზე პასუხის გასცემას. აქტივობა მნიშვნელოვანია იმით, რომ მოიცავს ქვეყანათმცოდნეობით ასპექტებს.

4. მე-6 დავალება ერთდროულად გრამატიკასა და ლექსიკაზე მუშაობას მოითხოვს. წინადადებების შინაარსიდან გამომდინარე, შემსწავლელმა სწორად უნდა შეარჩიოს ზმნა და გახაზოს ის.

5. მე-7 დავალებას წინ უძღვის გრამატიკული ფორმულა, -ით / -თი მაწარმოებლიანი ფორმები მოქმედების იარაღის გამოსახატავად ხმოვანფუძიან და თანხმოვანფუძიან სახელებში, (სახელთა კუმშვა და კვეცა; ნათესაობითი ბრუნვა). მე-7 დავალება კი ემსახურება ამ მასალის განმტკიცებას.

6. მე-8 დავალებამდე მოცემულია რთული სიტყვების მართლწერის გრამატიკული ფორმულა, რომლის პრაქტიკაში გამოყენება და განმტკიცება ხდება მე-8 დავალებაში.

7. მე-9 დავალებაში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 1, დავალება 9).

8. მე-10 დავალება ლაპარაკის უნარ-ჩვევის განვითარებას უწყობს ხელს. სხვა დავალებებში მოცემული ტექსტების გათვალისწინებით, ამჯერად შემსწავლელი დასმული კითხვების მეშვეობით ისაუბრებს თავისი ქვეყნის შესახებ. უმჯობესია, დავალება შესრულდეს წყვილებში.

9. მე-11 დავალება წერის უნარ-ჩვევას ავითარებს. გაკვეთილიდან მიღებული ცოდნისა და მე-12 დავალებაში მოცემული მისთვის საჭირო მზა ფრაზების გამოყენებით შემსწავლელი დამოუკიდებლად დაწერს საკუთარ ქვეყანაზე / ქალაქზე. დავალება ხელს უწყობს ნასწავლი მასალის განმტკიცებასა და პრაქტიკაში გამოყენებას.

10. მე-12 დავალება გაკვეთილის შემაჯამებელი დავალებაა. შემსწავლელს შეუძლია მისი პრეზენტაციის სახით წამოადგენა.

რვეული

1. 1-ლი სავარჯიშო გრამატიკულ მასალაზე მუშაობას ითვალის-წინებს. მასწავლებელი ცხრილში მოცემული მაგალითების საშუალებით უხსნის შემსწავლელს ზმნის უღლებას ახლანდელ დროში (აწმყოს მწკრივი). უღლების დროს ყურადღება მახვილდება პირის ნიშნებზე. სავარჯიოში მოცემულია ზმნები, რომლებიც დაკავშირებულია გაკვეთილთან.

2. მე-2 სავარჯიშო ლაპარაკის უნარ-ჩვევის განვითარებასთან ერთად ემსახურება უკვე შესწავლელი გრამატიკული მასალის განმტკიცებას. შემსწავლელმა 1-ელ დავალებაში ნაუღლები ზმნების გამოყენებით უნდა აღწეროს მოცემული სურათები. ამასთანავე, მან უნდა შეძლოს უკვე ათვისებული ლექსიკის გამოყენება.

3. მე-3 სავარჯიშოში ცალ-ცალკე ბლოკებადაა არსებითი სახელები და ზმნები, რომელთა დახმარებით და უკვე ათვისებული ლექსიკური ერთეულების გამოყენებით შემსწავლელმა უნდა შეადგინოს წინადადებები. ეს სავარჯიშო ერთდროულად გრამატიკისა და ლექსიკის გაუმჯობესებას უწყობს ხელს.

4. მე-4 დავალება კითხვის უნარ-ჩვევას ავითარებს. აქ ყურადღება მახვილდება ლექსიკაზე. შემსწავლელისთვის მნიშვნელოვანია ზუსტად ამოიკითხოს საკვანძო სიტყვა, რომელიც საშუალებას მისცემს მოძებნოს ტექსტის შესაბამისი ფოტო და მიუსადაგოს მას.

5. მე-5 სავარჯიშო გრამატიკული მასალის გასავარჯიშებელია. ქონების სახელთა წარმოება -იან მაწარმოებლით. შემსწავლელმა ფრჩხილებში ჩასმული არსებითი სახელებისგან უნდა აწარმოოს ზედსართავი სახელები.

6. მე-6 სავარჯიშო ითვალისწინებს ლექსიკაზე მუშაობას. შემსწავლელმა ცხრილში მოცემულ არსებით სახელებს (ამინდი, ქვეყანა...) უნდა მიუწეროს შესაბამისი ზედსართავი სახელები, რომლებსაც გაიხსენებს და მიუსადაგებს.

7. იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (რვეული, გაკვეთილი 1, დავალება 6).

8. იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 1, დავალება 9).

9. მე-9 სავარჯიშო წერის უნარ-ჩვევის განვითარებასთან ერთად შემსწავლელს ხელს უწობს შესწავლილი ლექსიკური მასალის განმტკიცებაში. ამ დავალების შესრულების დროს შემსწავლელს შეუძლია ნასწავლი ლექსიკური მარაგის გამოყენება წინადადებების შესადგენად.

10. იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (რვეული, გაკვეთილი 1, დავალება 10).

11. მე-11 დავალება დეტალური კითხვის უნარ-ჩვევას ავითარებს. შემსწავლელი კითხულობს დიალოგების არეულ ფრაზებს და კონკრეტულ დეტალებზე დაკვირვებით ალაგებს მათ თანამიმდევრულად, ისე, რომ მოცემული ფრაზებით შეადგინის ორი დიალოგი. დავალება უმჯობესია შესრულდეს მცირე ჯგუფებში.

12. მე-12 სავარჯიშოს მიზანია სელექციური მოსმენის უნარის განვითარება. აუდიოჩანაწერში მნიშნველოვანი საინფორმაციო ერთეულების გაგება. შესაბამისად, შემსწავლელი წინასწარ

უნდა გაეცნოს ჩამოწერილ ფრაზებს და დიალოგის სავარაუდო თანამიმდევრობა განსაზღვროს.

13. მე-13 დავალება შესწავლილი გრამატიკული მასალის გამეორება-გამტკიცებაა.

14. მე-14 სავარჯიშოთი ხდება სელექციური კითხვის უნარ-ჩვევის განვითარება. ეს არის ტექსტზე მუშაობის ყველაზე გავრცელებული ფორმა, შინაარსზე ორიენტირებული შეკითხვებით. მოიცავს ქვეყანათმცოდნეობით ასპექტებს.

15. მე-15 სავარჯიშო წერის უნარ-ჩვევის განვითარებას უწყობს ხელს. შემსწავლელები ადგენენ ტექსტებს მოცემული ნახატების მიხედვით. ამ დავალების გამოყენება ლაპარაკის უნარის გასავითარებლად შეიძლება. უკვე შედგენილ მათთვის ერთ-ერთ საინტერესო ტექსტს შემსწავლელები გააცნობენ აუდიტორიას.

გაკვეთილი 3

როგორ ცხოვრობენ საქართველოში

წიგნი

1. იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 1, დავალება 1).

2. მე-2 და მე-3 დავალებები ერთად უნდა შესრულდეს. შემსწავლელი ჯერ კითხულობს დიალოგს, შემდეგ ამოწმებს საკუთარ თავს, რამდენად სწორად გაიგო თითოეულ პერსონაჟზე წაკითხული ინფორმაცია. მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს, რომ შემსწავლელი ორიენტირებული იყოს ძირითად ინფორმაციაზე.

3. მე-4 და მე-5 სავარჯიშოებით ხდება სელექციური კითხვის უნარჩვევის განვითარება. ეს არის ტექსტი შინაარსზე ორიენტირებული შეკითხვებით. აქ შესაძლებელია შემსწავლელებმა ერთმანეთს დაუსვან კითხვები და ასე ისუბრონ ტექსტის შესახებ.

4. მე-6 დავალება კი ემსახურება გრამატიკული მასალის განმტკიცებას. შემსწავლელმა წინადადებებში ჩასასმელად სწორად უნდა შეარჩიოს ზმნები. ეს გულისხმობს ლექსიკაზე ვარჯიშსაც.

5. მე-7 დავალებას წინ უძღვის გრამატიკული ფორმულა, ხმოვანფუძიანი და თანხმოვანფუძიანი სახელები მსაზღვრელად და მათი ბრუნება საზღვრულთან ერთად. მე-7 დავალება კი ემსახურება ამ მასალის განმტკიცებას.

6. მე-8 დავალებაში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 1, დავალება 9).

7. მასწავლებელი შემსწავლელებს უხსნის გრამატიკულ მასალას: დროის გამოხატვა -ის + შემდეგ / მერე კონსტუქციით. ამ გრამატიკული მასალის ათვისება და განმტკიცება კი ხდება მე-9 დავალებაში მოცემული მაგალითების მეშვეობით.

8. მე-10 დავალება ლაპარაკის უნარ-ჩვევის განვითარებას უწყობს ხელს. სხვა დავალებებში მოცემული ტექსტების

გათვალისწინებით, ამჯერად შემსწავლელი დასმული კითხვების მეშვეობით ისაუბრებს თავისი ოჯახის, ნათესავების შესახებ. დავალება ემსახურება ლექსიკაზე ვარჯიშსაც. უმჯობესია, დავალება შესრულდეს წყვილებში.

9. მე-11 დავალება წერის უნარ-ჩვევას ავითარებს. გაკვეთილიდან მიღებული ცოდნისა და მე-12 დავალებაში მოცემული მისთვის საჭირო მზა ფრაზების გამოყენებით შემსწავლელი დამოუკიდებლად დაწერს საკუთარ ოჯახზე. დავალება ხელს უწყობს ნასწავლი მასალის განმტკიცებას და პრაქტიკაში გამოყენებას.

10. მე-12 დავალებაში მასწავლებელი შემსწავლელთან ერთად შეაჯამებს გაკვეთილს. შესაძლებელია, რომ შემაჯამებელი დავალება პრეზენტაციის სახით წამოადგინოს.

რვეული

1. 1-ლი სავარჯიშო გრამატიკულ მასალაზე მუშაობას ითვალისწინებს. მასწავლებელი ცხრილში მოცემული მაგალითების საშუალებით უხსნის შემსწავლელს ზმნის უღლებას სამივე დროში სხვადასხვა მწკრივის (აწმყო, მყოფადი, წყვეტილი) მიხედვით. უღლების დროს ყურადღება მახვილდება პირის ნიშნებზე. დავალება ითვალისწინებს ახალი ლექსიკური ერთეულების ათვისებას.

2. მე-2 სავარჯიშო წერის უნარ-ჩვევის განვითარებასთან ერთად ემსახურება უკვე ახსნილი გრამატიკული მასალის განმტკიცებას. შემსწავლელმა, 1-ელ დავალებაში შესწავლილი ზმნების დახმარებით, უნდა შეადგინოს ტექსტები სავარჯიშოში მოცემული ფოტოების მიხედვით, თითოეულის აღწერისას განსაზღვრული უნდა იყოს გრამატიკული დრო. დავალება ასევე ითვალისწინებს, რომ შემსწავლელმა წერის დროს გამოიყენოს უკვე ათვისებული ლექსიკური ერთეულები.

3. მე-3 სავარჯიშო 1-ელ სავარჯიშოში შესწავლილი გრამატიკული მასალის განსამტკიცებელია. მასწავლებელი კიდევ ერთხელ ამახვილებს ყურადღებას ზმნის პირსა და რიცხვზე. შემსწავლელმა

უნდა შეარჩიოს ზმნის შესაბამისი ფორმა, პირისა და რიცხვის გათვალისწინებით და სწორად ჩასვას წინადადებაში.

4. ტექსტის სტრუქტურირებისთვის მნიშვნელოვანი დავალებაა. ავითარებს დეტალური კითხვის უნარ-ჩვევას. არეული თანამიმდევრობით მოცემული დიალოგის დალაგება და სათაურის მოფიქრება. აქვე ყურადღება მახვილდება ლექსიკაზე. შემსწავლელისთვის მნიშვნელოვანია, ზუსტად ამოიკითხოს საკვანძო სიტყვა, რომელიც საშუალებას მისცემს მოძებნოს ტექსტის შესაბამისი ფოტო და მიუსადაგოს მას.

5. მე-5 სავარჯიშო არის კომბინირებული. შემსწავლელს ერთდროულად უწევს მუშაობა გრამატიკასა და ლექსიკაზე. დავალებაში მოცემული არსებითი და ზედსართავი სახელებისგან შემსწავლელმა უნდა შეადგინოს წინადადებები უკვე -ში / -ზე თანდებულების გამოყენებით. მასწავლებელი კიდევ ერთხელ ახსენებს -ზე / -ში თანდებულიანი ბრუნვის ფორმების გამოყენეების წესებს ადგილის გარემოების ფუნქციით.

6. მე-6 სავარჯიშო წერის უნარ-ჩვევის განვითარებასთან ერთად გრამატიკასა და ლექსიკაზე ვარჯიშსაც ითვალისწინებს. შემსწავლელი ეცნობა დროის გამომხატველ სიტყვებს მოქმედების დროის გამოსახატავად. დავალება ითვალისწინებს ათვისებული ლექსიკური ერთეულების განმტკიცებასაც, მათი გამოყენებით შემსწავლელი ადგენს წინადადებებს.

7. ლოგიკური კავშირების დადგენა-გამოყენების გასავარჯიშებლად შედეგიანია მე-7 სავარჯიშო, რომელშიც ორ ბლოკად არათანმიმდევრულადაა მოცემულია ცალკეული სიტყვები, ხოლო შემსწავლელმა უნდა იპოვოს შესაბამისი კავშირი და ამ სიტყვებისგან შეადგინოს ფრაზები. მზა ფრაზები შეუძლია გამოიყენოს ლაპარაკის დროს. დავალება ხელს უწყობს ლექსიკის გამდიდრებას.

8. იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 1, დავალება 9).

9. 1-ელ სავარჯიშოში ახსნილი გრამატიკული მასალის განსამტკიცებელია. ნაუღლები ზმნების გამოყენებით შემსწავლელი შეადგენს წინადადებებს. გრამატიკისა და ლექსიკის განმტკიცებასთან ერთად, დავალება ემსახურება წერის უნარ-ჩვევის განვითარებას.

10. იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (რვეული, გაკვეთილი 1, დავალება 10).

11. იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (რვეული, გაკვეთილი 2, დავალება 11).

12. მე-12 სავარჯიშო ლოგიკური კავშირების დადგენა-გამოყენებასთან ერთად, რომელიც ითვალისწინებს წინადადებების გამთლიანებას, ერთი ნაწილის შინაარსობრივად და ლოგიკურად დაკავშირებას მეორესთან, ხელს უწყობს გრამატიკული მასალის განმტკიცებას (წიგნი, სავარჯიშო 9).

13. მე-13 დავალება შესწავლილი გრამატიკული მასალის გამეორება-განმტკიცებას უწყობს ხელს. შემსწავლელი წინადადების კონტექსტიდან გამომდინარე ირჩევს ზმნის სწორ ფორმას. ყურადღება უნდა გამახვილდეს ზმნის პირსა და რიცხვზე.

14. იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (რვეული, გაკვეთილი 2, დავალება 14).

15. იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (რვეული, გაკვეთილი 2, დავალება 15).

გაკვეთილი 4

ჩვენი ნაცნობები

წიგნი

1. იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 1, დავალება 1).

2. მე-2 და მე-3 დავალებები ერთად უნდა შესრულდეს. ისინი ავითარებს სელექციური კითხვისა და წერის უნარ-ჩვევებს. შემსწავლელი კითხულობს დიალოგს, შემდეგი დავალებით კი მოწმდება, თითოეულ პერსონაჟზე წაკითხული ინფორმაციის სწორად გაგება.

3. მე-4 და მე-5 სავარჯიშოებით ხდება სელექციური კითხვის უნარ-ჩვევისა და წერის უნარ-ჩვევის განვითარება. ეს არის ტექსტი შინაარსზე ორიენტირებული შეკითხვებით. აქ შესაძლებელია შემსწავლელებმა ერთმანეთს დაუსვან კითხვები და ასე ისაუბრონ ტექსტში მოცემული თემაზე.

მე-4 სავარჯიშო ასევე განკუთვნილია წერის უნარ-ჩვევების გასავითარებლად. შემსწავლელმა უნდა შეძლოს წაკითხული ინფორმაციის მოკლედ დაწერა.

4. მე-6 დავალება ემსახურება გრამატიკული მასალის განმტკიცებას. შემსწავლელმა წინადადებებში ჩასასმელად სწორად უნდა შეარჩიოს ზმნები. ეს გულისხმობს ლექსიკაზე ვარჯიშსაც.

5. მე-7 დავალებას წინ უძღვის გრამატიკული ფორმულა, რიგობითი რიცხვითი სახელების წარმოება. მასწავლებელი თავდაპირველად ახსენებს შემსწავლელებს რაოდენობით რიცხვით სახელებს, შემდეგ კი მაგალითებზე დაყრდნობით უხსნის, როგორ აწარმოონ რაოდენობითი რიცხვითი სახელებისგან რიგობითი რიცხვითი სახელი. მასწავლებელმა განსაკუთერებით უნდა გაამახვილოს ყურადღება გამონაკლისზე -„პირველი“, ასევე ყურადსაღებია რთული რიგობითი რიცხვითი სახელების წარმოება.

მე-7 დავალება კი სწორედ ამ შესწავლილი მასალის განმტკიცებას ემსახურება.

6. მე-8 დავალებაში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 1, დავალება 9).

7. მასწავლებელი შემსწავლელებს უხსნის გრამატიკულ მასალას: -ვე ნაწილაკიანი სახელები. ამისათვის უმჯობესია, მასწალებელმა გაახსენოს შემსწავლელს მეტყველების ნაწილები და წინა დონეზე უკვე შესწავლილი მასალა, -ვე ნაწილაკიანი რიცხვითი სახელები. გრამატიკული მასალის ათვისება კი ხდება მე-9 დავალებაში მოცემული მაგალითების მეშვეობით. ეს დავალება ემსახურებს წინარე ცოდნის გაღრმავებას და ახლის განმტკიცებას.

8. მე-10 დავალებაში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 3, დავალება 10). ლექსიკური ერთეულები: პროფესია, ადამიანის დამახასიათებელი თვისებები.

9. მე-11 დავალება წერის უნარ-ჩვევას ავითარებს. გაკვეთილიდან მიღებული ცოდნისა და მე-12 დავალებაში მოცემული მისთვის საჭირო მზა ფრაზების გამოყენებით შემსწავლელი დამოუკიდებლად წერს თავისი ნაცნობების შესახებ, ახასიათებს მათ. დავალება ხელს უწყობს ნასწავლი მასალის განმტკიცებას და პრაქტიკაში გამოყენებას.

10. მე-12 დავალებაში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 3, დავალება 12).

რვეული

1. იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (რვეული, გაკვეთილი 3, დავალება 1).

2. მე-2 სავარჯიშო წერის უნარ-ჩვევის განვითარებასთან ერთად ემსახურება უკვე ახსნილი გრამატიკული მასალის განმტკიცებას. შემსწავლელმა 1-ელ დავალებაში შესწავლილი ზმნების დახმარებით უნდა შეადგინოს ტექსტები სავარჯიშოში მოცემული ნახატების მიხედვით, თითოეულის აღწერისას განსაზღვრული უნდა იყოს

გრამატიკული დრო. დავალება ასევე ითვალისწინებს წერის დრო ათვისებული ლექსიკური ერთეულების გამოყენებას.

3. მე-3 სავარჯიშო იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (რვეული, გაკვეთილი 3, დავალება 3).

4. მე-4 სავარჯიშო ნასწავლი ლექსიკის გამოყენებასა და გამეორებას უწყობს ხელს. აქ ვიზუალური დამხმარე საშუალება არის ფოტოები. შემსწავლელმა მათზე გამოსახული ადამიანები უნდა დაახასიათოს ასაკის, პროფესიისა და გარეგნობის მიხედვით.

5. მე-5 სავარჯიშოში ციფრებით დაწერილი რიცხვები შემსწავლელმა უნდა დაწეროს სიტყვიერად. დავალება გრამატიკული მასალის განმტკიცებასთან ერთად (რიგობითი რიცხვითი სახელების წარმოება, წიგნი, დავალება 7) გულისხმობს მართლწერაზე ვარჯიშს.

6. მე-6 დავალებაში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 3, დავალება 3).

7. მე-7 დავალებაში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (რვეული, გაკვეთილი 3, დავალება 7).

8. იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 1, დავალება 9).

9. მე-9 დავალება 1-ელ სავარჯიშოში ახსნილი გრამატიკული მასალის განსამტკიცებელია. ნაუღლები ზმნების გამოყენებით შემსწავლელი შეადგენს წინადადებებს. დავალება ემსახურება წერის უნარ-ჩვევის განვითარებას გრამატიკისა და ლექსიკის განმტკიცებასთან ერთად.

10. იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (რვეული, გაკვეთილი 1, დავალება 10).

11. იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (რვეული, გაკვეთილი 2, დავალება 11).

12. მე-12 სავარჯიშო გაკვეთილში ათვისებული ლექსიკური მასალის განსამტკიცებელია. შემსწავლელმა უნდა შეძლოს უკვე ნასწავლი

სიტყვები ჩასვას წინადადებებში შინაარსისა და კონტექსტის გათვალისწინებით.

13. მე-13 დავალება წერის უნარ-ჩვევის განვითარებასთან ერთად ამოწმებს შემსწავლელის მიერ გაკვეთილში ათვისებული ლექსიკური მარაგისა და გრამატიკული კონსტრუქციების გამოყენების შესაძლებლობას. უმჯობესია, შემსწავლელმა მის მიერ დაწერილი ერთ-ერთი ტექსტი წაიკითხოს აუდიტორიის წინაშე.

14. იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (რვეული, გაკვეთილი 2, დავალება 14).

15. მე-15 სავარჯიშო წერის უნარ-ჩვევის განვითარებას უწყობს ხელს. შემსწავლელები ადგენენ დიალოგებს ფოტოების მიხედვით. ამ დავალების გამოყენება ლაპარაკის უნარის გასავითარებლად შეიძლება. უკვე შედგენილ ერთ-ერთ დიალოგებს შემსწავლელები ერთმანეთში გაითამაშებენ.

გაკვეთილი 5

უცხოელი სტუმარი თბილისში

წიგნი

1. იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 1, დავალება 1).

2. მე-2 და მე-3 დავალებები ერთად უნდა შესრულდეს. ავითარებს სელექციური კითხვისა და წერის უნარ-ჩვევებს. შემსწავლელი კითხულობს დიალოგს და წერს თითოეული პერსონაჟის გეგმების შესახებ. მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს, რომ კითხვის დროს შემსწავლელი ორიენტირებული იყოს ძირითად ინფორმაციაზე. ვითარდება წერის უნარ-ჩვევაც.

3. მე-4 და მე-5 სავარჯიშოებთან დაკავშირებით იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 4, დავალებები 4-5). მოიცავს ქვეყანათმცოდნეობით ასპექტებს. შემსწავლელი ეცნობა თბილისს და მის შემოგარენს.

4. მე-6 დავალება ემსახურება გრამატიკული მასალის განმტკიცებას. შემსწავლელმა წინადადებებში ჩასასმელად სწორად უნდა შეარჩიოს ზმნები. ეს გულისხმობს ლექსიკაზე ვარჯიშსაც.

5. მე-7 დავალებას წინ უძღვის გრამატიკული ფორმულა, ზედსართავი სახელის უფროობითი ხარისხის ფორმების წარმოება. მასწავლებელი თავდაპირველად ახსენებს შემსწავლელებს ზედსართავ სახელებს, წინა დონეზე ნასწავლ თვისების გამომხატველ სიტყვებს, შემდეგ კი მაგალითებზე დაყრდნობით უხსნის, როგორ იწარმოება უფროობითი ხარისხი. მე-7 დავალება კი სწორედ ამ შესწავლილი მასალის განმტკიცებას ემსახურება.

6. მე-8 დავალებაში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი1, დავალება 9).

7. მასწავლებელი შემსწავლელებს უხსნის გრამატიკულ მასალას: განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი. მასწალებელმა უნდა გაახსენოს შემსწავლელს წინა დონეზე უკვე ნასწავლი კითხვითი სიტყვები. გრამატიკული მასალის ათვისება და განმტკიცება ხდება მე-9 დავალებაში მოცემული მაგალითებით.

8. მე-10 დავალებაში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 3, დავალება 10). შემსწავლელი იყენებს ქალაქის აღსაწერად საჭირო ლექსიკური ერთეულებს.

9. მე-11 დავალებაში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 4, დავალება 11).

10. მე-12 დავალებაში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 3, დავალება 12).

რვეული

1. იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (რვეული, გაკვეთილი 3, დავალება 1).

2. მე-2 სავარჯიშოს შესრულებისას იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (რვეული, გაკვეთილი 4, დავალება 2).

3. მე-3 სავარჯიშო იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (რვეული, გაკვეთილი 3, დავალება 3).

4. მე-4 სავარჯიშოს მიზანია, შემსწავლელმა გლობალურად გაიგოს წაკითხული წინადადებები და მიუსადაგოს ისინი ფოტოებს. ამ შემთხვევაში ფოტოები შემსწავლელს ეხმარება ლექსიკური ერთეულების დადგენაში.

5. მე-5 სავარჯიშოში ხდება წიგნში შესწავლილი გრამატიკული მასალის (უფროობითი ზედსართავი სახელები) განმტკიცება.

6. მე-6 დავალება ითვალისწინებს გრამატიკულ მასალაზე მუშაობას ერთი ზმნის მაგალითზე. შემსწავლელმა უკვე ნაუღლები ზმნების შესაბამისი ფორმა უნდა ჩასვას მოცემულ წინადადებებში.

7. მე-7 დავალებაში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (რვეული, გაკვეთილი 3, დავალება 7).

8. იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 1, დავალება 9).

9. მე-9 დავალებაში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (რვეული, გაკვეთილი 5, დავალება 6).

10. იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (რვეული, გაკვეთილი 1, დავალება 10).

11. იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (რვეული, გაკვეთილი 2, დავალება 11).

12. მე-12 სავარჯიშო გაკვეთილში ათვისებული გრამატიკული მასალის განსამტკიცებელია. შემსწავლელი დავალებაში ჩამოთვლილი განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელებიდან არჩევს შესაბამისს წინადადებებში ჩასასმელად.

13. მე-13 დავალება წერის უნარ-ჩვევის განვითარებასთან ერთად ამოწმებს, რამდენად შეუძლია შემსწავლელს გაკვეთილში ათვისებული ლექსიკური ერთეულებისა და გრამატიკული კონსტრუქციების გამოყენება კონკრეტული ტექსტის შედგენისას. უმჯობესია, შემსწავლელმა მის მიერ დაწერილი ერთ-ერთი ტექსტი წაიკითხოს აუდიტორიის წინაშე.

14. იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (რვეული, გაკვეთილი 2, დავალება 14).

15. იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (რვეული, გაკვეთილი 4, დავალება 15).

გაკვეთილი 6

ჩემი ერთი დღე

წიგნი

1. იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 1, დავალება 1).

2. მე-2 და მე-3 დავალებებში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 5, დავალებები 2-3).

3. მე-4 და მე-5 სავარჯიშოებთან დაკავშირებით იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 4 , დავალებები 4-5).

4. მე-6 დავალებაში დავალებებში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი, 5,დავალება 6).

5. მე-7 დავალების მიზანია, რომ შემსწავლელმა აითვისოს თემასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ლექსიკური ერთეულები, ამაში ხელს უწყობს ვიზუალური დამხმარე საშუალება – ფოტოები.

6. მე-8 დავალებას წინ უძღვის თვალსაჩინოებით ახსნილი გრამატიკული მასალა, თვისების გამოხატვა მეტ-ნაკლები ხარისხით „უფრო — ვიდრე“ კონსტრუქციის გამოყენებით. მასწავლებელი თავდაპირველად ახსენებს შემსწავლელებს ზედსართავ სახელებს, წინა დონეზე ნასწავლი თვისების გამომხატველ სიტყვებს. მე-8 სავარჯიშო ემსახურება ნასწავლი მასალის განმტკიცებასა და ცოდნის გაღრმავებას კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით.

7. მე-9 დავალებაში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 1, დავალება 9).

8. მე-10 დავალებაში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 3, დავალება 10).

9. მე-11 დავალებაში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 4, დავალება 11).

10. მე-12 დავალებაში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 3, დავალება 12).

რვეული

1. იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (რვეული, გაკვეთილი 3, დავალება 1).

2. მე-2 სავარჯიშოს შესრულებისას იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (რვეული, გაკვეთილი 4, დავალება 2).

3. მე-3 სავარჯიშო ლექსიკაზე და გრამატიკულ მასალაზე მუშაობას ითვალისწინებს. აქცენტი კეთდება ზმნაზე. შემსწავლელმა უნდა შეძლოს დროის გამომხატველი სიტყვების (დროის ზმნიზედები) შეაბამისად / სწორად შეუწყოს საწყის ფორმაში მოცემული ზმნა. ამასთანავე, წინადადებების შედგენისას გამოიყენოს უკვე შესწავლილი ლექსიკური ერთეულები.

4. მე-4 სავარჯიშოს მიზანია წინა დონეზე შესწავლილი გრამატიკული მასალის გაღრმავება. დავალებაში მოცემული ზმნისწინებისა (ქმედების გამომხატველი სიტყვებით სივრცეში საიქითი ორიენტაციის ჩვენება) და პიქტოგრამების დახმარებით შემსწავლელმა პირველსა და მესამე პირებში უნდა დაწეროს ერთი და იგივე ზმნა. სასურველია, პედაგოგმა შემსწავლელებს დაავალოს წინადადებების შედგენა ამ ზმნების გამოყენებით, რაც ხელს შეუწყობს მათ პრაქტიკაში გამოყენებასა და ათვისებული მასალის განმტკიცებას.

5. მე-5 სავარჯიშოს მიზანია წიგნში შესწავლილი გრამატიკული მასალის (უფროობითი ზედსართავი სახელები) განმტკიცება.

6. მე-6 დავალება ითვალისწინებს რამდენიმე კომპონენტს. აქ ხდება გამეორება მე-4 სავარჯიშოში შესწავლილი გრამატიკული მასალის, მოწმდება წერის უნარ-ჩვევა და ის, თუ რამდენად ადეკვატურად იყენებს შემსწავლელი ათვისებულ ლექსიკას წერის დროს.

7. მე-7 დავალებაში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (რვეული, გაკვეთილი 3, დავალება 7).

8. მე-8 დავალების მიზანია გლობალური მოსმენის უნარ-ჩვევის განვითარება. შემსწავლელის ამოცანაა, გაიგოს ტექსტის ძირითადი არსი, მიხვდეს, ზოგადად, რაზეა ტექსტი, რათა შემდეგ შეძლოს მსგავსი შინაარსის ამბის დაწერა საკუთარ თავზე. ეს სავარჯიშო ასევე განკუთვნილია წერის უნარ-ჩვევის გასავითარებლად.

9. მე-9 დავალება კვლავ გრამატიკული მასალის განტკიცებაზეა ორიენტირებული. მოცემული ცხრილის მიხედვით, შემსწავლელი იგებს, რომ წასვლა ზმნას ახლანდელი დრო არ აქვს.

10. სავარჯიშო ავითარებს წერის უნარ-ჩვევას. ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც წერს შემსწავლელი ელექტრონულ წერილს, მოცემულია დავალებაში.

11. იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (რვეული, გაკვეთილი 2, დავალება 11).

12. მე-12 სავარჯიშოს მიზანია წინა გაკვეთილებში ათვისებული გრამატიკული მასალის გამეორება-გაღრმავება.

13. იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (რვეული, გაკვეთილი 4, დავალება 13).

14. იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (რვეული, გაკვეთილი 2, დავალება 14).

15. მე-15 დავალების მიზანია ლაპარაკის უნარ-ჩვევის განვითარება. შემსწავლელმა უნდა შეძლოს საუბარი სავარჯიშოში მოცემული ფოტოების შესახებ, რისთვისაც უნდა გამოიყენოს აქამდე ნასწავლი ლექსიკური მარაგი. ეს აქტივობა ხელს უწყობს შემსწავლელის საჯარო გამოსვლას, რადგან მას, ამ შემთხვევაში, ჯგუფის წინაშე მოუწევს საუბარი ფოტოების შესახებ.

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

ეს გაკვეთილი მიზნად ისახავს 6 გაკვეთილში განვლილი მასალის შეჯამებას. ითვალისწინებს ყველა უნარის (კითხვა, წერა, მოსმენა, ლაპარაკი) შემოწმებას. ამ თავში მოცემული დავალებების შესრულების შემდეგ შემსწავლელს ეძლევა საშუალება, გაიგოს კონკრეტულ უნარში თავისი სუსტი და ძლიერი მხარეების შესახებ და გაიმეორეოს ის მასალა, რომელშიც აქვს ხარვეზები.

შესრულებული დავალებების შემოწმების შემდეგ მასწავლებელსაც ექმნება ნათელი სურათი, თუ რაზე უნდა გაამახვილოს ყურადღება კონკრეტულ შემსწავლელთან დაკავშირებით, რომელი უნარის განვითარება სჭირდება მას უფრო მეტად. წერისა და მეტყველების დროს რა სახის გრამატიკულ შეცდომებს უშვებეს იგი და რამდენად ადეკვატურად იყენებს შესწავლილ ლექსიკურ მარაგს.

რა ვისწავლეთ და რა შეგვიძლია

წიგნი

1. აქტივობის მიზანია ინტერესის აღძვრა ფოტოების მიმართ, წინარე ცოდნის აქტივაცია. დავალება ამოწმებს ლაპარაკის უნარს-ჩვევას.

2. დავალების მიზანია, შეამოწმოს, როგორ შეძლებს შემსწავლელი გლობალური კითხვის უნარის მეშვეობით ორი სხვადახვა მონაცემის ერთმანეთთან შედარებას. მსგავსი ტიპის სავარჯიშოები შემსწავლელს შესრულებული აქვს.

3. დავალებით მოწმდება კითხვის უნარი, რამდენად სწორად შეუძლია შემსწავლელს წაკითხულის გაგება-გაზრება. იგი დასმულ შეკითხვებს პასუხობს ერთი სიტყვის მონიშვნით.

4. ტექსტზე მუშაობის ყველაზე გავრცელებული ფორმა არის ტექსტის ლექსიკაზე მუშაობა. მე-4 დავალების მიზანიც სწორედ ესაა, შეამოწმოს, შემსწავლელს შეუძლია თუ არა დამოუკიდებლად, ლექსიკონის დახმარებით, მისთვის უცხო სიტყვების განმარტება.

5. აქტივობის მიზანია სელექციური კითხვის უნარ-ჩვევის განმტკიცება. შემსწავლელმა კიდევ ერთხელ უნდა წაიკითხოს ტექსტი და მოცემული წინადადებებიდან აღნიშნოს სწორი / არასწორი პასუხები.

6. მე-6 დავალება კითხვის გლობალური და წერის უნარ-ჩვევების შესამოწმებელია. შემსწავლელმა უნდა გაიგოს წერილის ძირითად აზრი და დამოუკიდებლად დაწეროს მცირე ზომის ელექტრონული წერილი წინარე ცოდნის გამოყენებით.

7. იხელმძღვანელეთ ამავე გაკვეთილის მე-3 დავალების მიხედვით.

8. მე-8 დავალება ლაპარაკის უნარ-ჩვევის შემოწმებას ითვალისწინებს. შემსწავლელებმა თემატურად დასმული კითხვების გათვალისწინებით უნდა ისაუბრონ, ამისათვის მათ უნდა გამოიყენონ წინა გაკვეთილებში ნასწავლი ლექსიკური მარაგი. ეს დავალება სასურველია, შესრულდეს წყვილებში.

9. მე-9 დავალებით შემოწმდება სელექციური კითხვის უნარ-ჩვევა. ტექსტის კითხვის დროს ყურადღება გამახვილდება კონკრეტულ ინფორმაციაზე, რომლითაც შემსწავლელი შეძლებს დავალებაში მოცემულ კითხვებზე პასუხის გაცემას. ამ ტიპის დავალებები შემსწავლელს შესრულებული აქვს განვლილ მასალაზე მუშაობის დროს.

10. ბოლო დავალება შემსწავლელის ლაპარაკის უნარ-ჩვევას ამოწმებს. მას ეძლევა საშუალება, აირჩიოს მისთვის სასურველი თემა, რომელზეც ისაუბრებს ჯგუფის წინაშე. საუბრის დროს, რა თქმა უნდა, გათვალისწინებულია, გრამატიკულად რამდენად სწორად საუბრობს და ადეკვატურად იყენებს შესწავლილ ლექსიკურ მარაგს.

რვეული

1. 1-ლი დავალება არის აქტიური ლექსიკის განსამტკიცებელი. შესწავლილი ლექსიკური მარაგიდან შემსწავლელმა უნდა გაიხსენოს დავალებაში მოცემული კონკრეტული სიტყვების ანტონიმები. დავალება აქტიური ლექსიკური მარაგის პრაქტიკაში გამოყენებას უწყობს ხელს.

2. შესწავლილი გრამატიკული მასალის (ქონების სახელთა წარმოება -იან მაწარმოებლით) გამტკიცებას უწყობს ხელს.

3. მე-3 დავალება არის აქტიური ლექსიკის განსამტკიცებელი. შესწავლილი ლექსიკური მარაგის გათვალისწინებით, შემსწავლელმა დავალებაში მოცემული სიტყვების შინაარსიდან გამომდინარე თემატურად შუსაბამო / განსხვავებული სიტყვა უნდა მოძებნოს. ამ დავალებით მოწმდება შემსწავლელის უნარი, გამოიწენოს აქტიური ლექსიკური ერთეულები პრაქტიკაში.

4. მე-4 აქტივობის მიზანია სელექციური კითხვის უნარ-ჩვევის შემოწმება. შემსწავლელმა კიდევ ერთხელ უნდა წაიკითხოს ტექსტი და მოცემული წინადადებებიდან აღნიშნოს სწორი / არასწორი პასუხები.

5. მე-5 აქტივობა გრამატიკული მასალის შემოწმებასა და მის განმტკიცებაზე მუშაობას ითვალისწინებს.

6. დავალებით მოწმდება დეტალური მოსმენის უნარ-ჩვევა. შემსწავლელმა აუდიოჩანაწერში მოსმენილი წინადადებები უნდა დაწეროს უშეცდომოდ. დავალება ამავდროულად ამოწმებს წერის უნარს.

7. გრამატიკული მასალის გამეორებასა და გაღრმავებას უწყობს ხელს. ცხრილში გამოტოვებული ადგილები უნდა შეავსოს შესაბამის დროში ჩასმული ზმნებით.

8. მე-8 დავალებაში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (რვეული, გაკვეთილი 3, დავალება 7).

9. დავალება ითვალისწინებს A1 დონეზე და A2 დონის ექვს გაკვეთილში ათვისებული გრამატიკული მასალის შემოწმებას.

10. მე-10 დავალება წერის უნარ-ჩვევასთან ერთად ამოწმებს, რამდენად შეუძლია შემსწავლელს გაკვეთილებში ათვისებული ლექსიკური მარაგისა და გრამატიკული კონსტრუქციების გამოყენება კონკრეტული ტექსტის შედგენისას. შემსწავლელს თითო შეცდომაზე დააკლედება ერთი ქულა.

გაკვეთილი 7

შაბათ-კვირა

წიგნი

1. იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 1, დავალება 1).

2. მე-2 და მე-3 დავალებებში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 5, დავალებები 2-3).

3. მე-4 და მე-5 სავარჯიშოებთან დაკავშირებით იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი4, დავალებები 4-5). აქტივობა მოიცავს კულტუროლოგიურ და ქვეყანათმცოდნეობით ასპექტებს, კერძოდ შემსწავლელი ეცნობა ქართულ კერძებს.

4. მე-6 დავალებას წინ უძღვის გრამატიკული ფორმულა. კერძოდ, სურვილის გამოხატვა ქმედებასთან მიმართებით: „უნდა“ ზმნა + მეორე ზმნის მეორე კავშირებითი. მე-6 სავარჯიშო კი ემსახურება ამ მასალის განმტკიცებას.

სურვილის გამოხატვა „უნდა“ ზმნით შემსწავლელს წინა დონეზეც აქვს ნასწავლი, უფრო მარტივი კონსტრუქციით: ზმნა+სახელი, A2 დონეზე კი „უნდა“ ზმნის ფუნქციის უფრო ღრმად შესწავლა ხდება.

5. მე-7 დავალების მიზანია მოსმენის უნარ–ჩვევის გავარჯიშება, სელექციურ გაგებაზე მუშაობა. შემსწავლელი უსმენს აუდიოჩანაწერს და ყურადღებას ამახვილებს მისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციაზე გამოტოვებული ადგილების შესავსებად. ამ დავალებას წინ უსწრებს და მოსდევს გრამატიკული ფორმულები, რომლებიც დაკავშირებულია მოსასმენ ტექსტთან, რაც შემსწავლელს კიდევ უფრო უადვილებს დიალოგის გაგებასა და ეხმარება გამოტოვებული ადგილების შევსებაში.

6. მე-8 დავალების მიზანია ტექსტის, კონკრეტულ შემთხვევაში განცხადებების, გაგება და სელექციური კითხვის უნარის განვითარება. შემსწავლელი გაგების შემთხვევაში შეძლებს, რომ ამოარჩიოს და დააჯგუფოს ინფორმაცია სწორად.

7. მე-9 დავალებაში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 3, დავალება 10).

8. მე-10 დავალებაში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 4, დავალება 11).

9. მე-11 დავალებაში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 3, დავალება 12).

რვეული

1. იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (რვეული, გაკვეთილი 3, დავალება 1).

2. მე-2 სავარჯიშო ემსახურება წერის უნარ-ჩვევის განვითარებას. შემსწავლელმა უკვე დასათარებული სურათები უნდა აღწეროს. დავალება ითვალისწინებს წერის დროს ათვისებული ლექსიკური ერთეულების გამოყენებას.

3. მე-3 სავარჯიშო იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (რვეული, გაკვეთილი 3, დავალება 3).

4. მე-4 სავარჯიშოს მიზანია ამავე გაკვეთილის წიგნში შესწავლილ გრამატიკულ მასალაზე (მიზეზის გარემოებით დამოკიდებული წინადადება „იმიტომ, რომ“ კავშირების გამოყენებით) ვარჯიში. დავალებაში რთული წინადადებების შემადგენელი ნაწილები ცალ-ცალკეა მოცემული და შემსწავლელმა კავშირების დახმარებით უნდა გააერთიანოს თითოეული მათგანი. ვარჯიშდება კითხვის უნარ-ჩვევა.

5. მე-5 სავარჯიშოში გრძელდება წინგში შესწავლილ გრამატიკულ მასალაზე მუშაობა. დავალების მიზანია კონკრეტული მასალის უფრო ღრმად შესწავლა.

6. მე-6 დავალება ამავე გაკვეთილის წიგნში შესწავლილი გრამატიკული მასალის განმტკიცებას უწყობს ხელს. ამავდორულად, ავითარებს წერის უნარ-ჩვევას და ამოწმებს, რამდენად შეუძლია

შემსწავლელს ათვისებული ლექსიკური ერთეულების გამოყენება წინადადებების შედგენისას.

7. მე-7 დავალებაში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (რვეული, გაკვეთილი 3, დავალება 7).

8. მე-8 დავალების იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 7, დავალება 7). ამ დავალების შემთხვევაში გრამატიკული ფორმულები წიგნშია მოცემული.

9. მე-9 დავალება კვლავ გრამატიკული მასალის განმტკიცება-გაღრმავებაზეა ორიენტირებული.

10. განვლილი მასალის საფუძველზე შემსწავლელმა უნდა შეძლოს ანლოგიური სხვადასხვა ტიპის განცხადებების შექმნა. ტექსტის დასაწერად საჭირო ინფორმაცია სავარჯიშოშივეა მოცემული.

11. იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (რვეული, გაკვეთილი 2, დავალება 11).

12. მე-12 სავარჯიშოს მიზანია ამავე გაკვეთილის წიგნში ათვისებულ გრამატიკულ (ან ან; ხან ხან მაცალკევებელი კავშირები) მასალაზე ვარჯიში. ამასთანავე, ამ დავალებით მოწმდება წერის უნარ-ჩვევა და ლექსიკური მარაგი.

13. მე-13 დავალება წერის უნარ-ჩვევის განვითარებასთან ერთად ამოწმებს შემსწავლელის მიერ გაკვეთილში ათვისებული ლექსიკისა და გრამატიკული კონსტრუქციების გამოყენების შესაძლებლობას.

14. იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (რვეული, გაკვეთილი 2, დავალება 14).

15. იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (რვეული, გაკვეთილი 4, დავალება 15).

გაკვეთილი 8

ბანკი

წიგნი

1. იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 1, დავალება 1).

2. მე-2 და მე-3 დავალებები ერთად უნდა შესრულდეს. ისინი ავითარებს სელექციური კითხვისა და წერის უნარჩვევებს შემსწავლელი ჯერ კითხულობს დიალოგებს, შემდეგ ამოწმებს საკუთარ თავს, რამდენად სწორად გაიგო ინფორმაცია. თანამიმდევრულად უნდა დაალაგოს აქტივობები. ესაასიტუაციური სავარჯიშოები ენობრივი მასალის გამოყენების გასავარჯიშებლად.

3. მე-4 და მე-5 სავარჯიშოებთან დაკავშირებით იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 4, დავალებები 4-5).

4. მე-6 დავალებას წინ უძღვის გრამატიკული ფორმულა.ზედ-სართავი სახელის წარმოება, დანიშნულების სახელები სა---ო მაწარმოებლებით. მე-6 სავარჯიშო კი ემსახურება ამ მასალის განმტკიცებას.

5. მე-7 დავალებაში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 1, დავალება 9).

6. მე-8 დავალებაში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 7, დავალება 8).

7. მე-9 დავალებას წინ უძღვის გრამატიკული ფორმულები. ნათესაობითი ბრუნვის ცალკე მდგომი თანდებულები. კომბინირებული სავარჯიშოა, ერთსა და იმავე დროს გათვალისწინებულია გრამატიკული მასალის ათვისებასა და გაღრმავებაზე. შემსწავლელმა უნდა გამოიყენოს შესწავლილი ლექსიკური ერთეულები წინადადებების შესადგენად. დავალება ავითარებს წერის უნარ-ჩვევას.

8. მე-10 დავალებაში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 3, დავალება 10).

9. მე-11 დავალებაში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 4, დავალება 11).

10. მე-12 დავალებაში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 3, დავალება 12).

რვეული

1. იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (რვეული, გაკვეთილი 3, დავალება 1).

2. ტექსტის სტრუქტურირებისთვის მნიშვნელოვანი დავალებაა. ავითარებს დეტალური კითხვის უნარ-ჩვევას. არეული თანამიმდევრობით მოცემული დიალოგის დალაგება და სათაურის მოფიქრება. აქვე ყურადღება მახვილდება ლექსიკაზე. შემსწავლელისთვის მნიშვნელოვანია, ზუსტად ამოიკითხოს საკვანძო სიტყვა, რომელიც საშუალებას მისცემს მოძებნოს ტექსტის შესაბამისი ფოტო და მიუსადაგოს მას.

3. მე-3 სავარჯიშო წერის უნარ-ჩვევის ავითარებს. დავალება გაკვეთილში შესწავლილ გრამატიკულ მასალაზე მუშაობას ითვალისწინებს. შემსწავლელისთვის ორიენტირი არის ზმნები, რომელთა მიხედვი+თაც უნდა შეადგინოს წინადადებები.

4. მე-4 სავარჯიშო ემსახურება შესწავლილი გრამატიკული მასალის გაღრმავებას, ლექსიკაზე ვარჯიშს. ავითარებს წერის უნარს. დავალებაში მოცემული სიტყვების გამოყენებიტ შემსწავლელმა უნდა შეადგინოს წინადადებები.

5. მე-5 სავარჯიშოში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (რვეული, გაკვეთილი 7, დავალება 5).

6. მე-6 დავალება ლაპარაკის უნარ-ჩვევის განვითარებას უწყობს ხელს. სხვა დავალებებში მოცემული ტექსტების გათვალისწინებით. დავალება ემსახურება ლექსიკაზე ვარჯიშსაც. უმჯობესია, დავალება შესრულდეს წყვილებში.

7. მე-7 დავალებაში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (რვეული, გაკვეთილი 3, დავალება 7).

8. მე-8 მიზანია მოსმენის უნარ–ჩვევის გავარჯიშება, სელექციურ გაგებაზე მუშაობა. შემსწავლელი უსმენს აუდიოჩანაწერს და ყურადღებას ამახვილებს მისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციაზე გამოტოვებული ადგილების შესავსებად. ამავდროულად ხდება განვლილი მასალის გამეორება-განმტკიცება.

9. აქტივობის მიზანია კითხვის უნარ-ჩვევაზე მუშაობა. შემსწავლელმა უნდა იპოვოს შესაბამისი ფრაზები / პასუხები და მიუსადაგოს ერთმანეთს. შემსწავლელს ამ დავალების შესრულებაში ეხმარება წინარე ცოდნა.

10. აქტივობის მიზანია ანკეტაში პირადი მონაცემების შევსებაზე ვარჯიში. საჭიროა, წინარე ცოდნის გამოყენება ტექსტებიდან, დიალოგებიდან და აუდიოჩანაწერებიდან. შემსწავლელი იყენებს გაკვეთილში ათვისებულ ლექსიკას, შეუძლია მზა ფრაზებით წერა.

11. მე-11 დავალება დეტალური კითხვის უნარ-ჩვევას ავითარებს. შემსწავლელი კითხულობს დიალოგების არეულ ფრაზებს და კონკრეტულ დეტალებზე დაკვირვებით ალაგებს მათ თანამიმდევრულად, ისე, რომ მოცემული ფრაზებით შეადგინის ორი დიალოგი. დავალება უმჯობესია შესრულდეს მცირე ჯგუფებში.

12. მე-12 სავარჯიშოს მიზანია ათვისებული გრამატიკული მასალის გამეორება-გაღრმავება. გრამატიკულ მასალაზე ვარჯიშთან ერთად ამ დავალებით მოწმდება წერის უნარ-ჩვევა და ლექსიკა.

13. მე-13 დავალებაში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (რვეული, გაკვეთილი 7, დავალება 13).

14. აქტივობის მიზანია სელექციური კითხვის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. შემსწავლელმა კიდევ ერთხელ უნდა წაიკითხოს ტექსტი და მოცემული წინადადებებიდან აღნიშნოს სწორი / არასწორი პასუხები.

15. იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (რვეული, გაკვეთილი 4, დავალება 15).

გაკვეთილი 9

ჯანმრთელობა

წიგნი

1. იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 1, დავალება 1).

2. მე-2 და მე-3 დავალებებში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 8, დავალებები 2-3).

3. მე-4 და მე-5 სავარჯიშოებით ხდება სელექციური კითხვის უნარ-ჩვევისა და წერის უნარ-ჩვევის განვითარება. ეს არის ტექსტი შინაარსზე ორიენტირებული შეკითხვებით. აქ შესაძლებელია შემსწავლელებმა ერთმანეთს დაუსვან კითხვები და ასე ისაუბრონ ტექსტში მოცემული თემაზე.

4. მე-6 დავალებას წინ უძღვის გრამატიკული მასალის ახსნა (მოდალობის გამომხატველი ზმნები – მინდა, უნდა, შეიძლება), რომლის მიხედვითაც შემსწავლელი შეასრულებს სავარჯიშოს. აქტივობა ხელს უწყობს ლექსიკის გამდიდრებას.

5. მე-7 დავალებაში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 1, დავალება 9).

6. მე-8 დავალების მიზანია ტექსტის, კონკრეტულ შემთხვევაში განცხადებების გაგება და სელექციური კითხვის უნარის განვითარება. შემსწავლელი გაგების შემთხვევაში, შეძლებს, რომ ამოარჩიოს და დააჯგუფოს ინფორმაცია სწორად.

7. მე-9 დავალების მიზანია ლექსიკასა და გრამატიკულ მასალაზე (არსებითი სახელი მსაზღვრელად) ვარჯიში. ორ ბლოკში მოცემული სიტყვები შემსწავლელმა უნდა დაუკავშიროს ერთმანეთს. პირველი ბლოკის სიტყვა ჩააყენოს ნათესაობით ბრუნვაში და მოუძებნოს შესაბამისი ლექსიკური ერთეული მეორე ბლოკში.

8. მე-10 დავალებაში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 3, დავალება 10).

9. მე-11 დავალება წერის უნარ-ჩვევას ავითარებს. გაკვეთილიდან მიღებული ცოდნისა და მე-12 დავალებაში მოცემული მისთვის საჭირო მზა ფრაზების გამოყენებით შემსწავლელი დამოუკიდებლად დაწერს მოცემული თემის (საუკეთესო / ცუდი კლინიკა) შესახებ. დავალება ხელს უწყობს ნასწავლი მასალის განმტკიცებას და პრაქტიკაში გამოყენებას.

10. მე-12 დავალებაში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 3, დავალება 12).

რვეული

1. იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (რვეული, გაკვეთილი 3, დავალება 1).

2. მე-2 დავალებაში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 7, დავალება 8).

3. მე-3 სავარჯიშო წერის უნარ-ჩვევის ავითარებს. დავალება გაკვეთილში შესწავლილ გრამატიკულ მასალაზე მუშაობას ითვალისწინებს. შემსწავლელისთვის ორიენტირი არის ზმნები, რომელთა მიხედვითაც უნდა შეადგინოს წინადადებები.

4. მე-4 დავალება გათვალისწინებულია შესწავლილი ლექსიკური მარაგის პრაქტიკაში გამოყენებლად. ავითარებს წერის უნარ-ჩვევას.

5. მე-5 სავარჯიშოში გრძელდება წინგში შესწავლილ გრამატიკულ მასალაზე მუშაობა. დავალების მიზანია კონკრეტული მასალის უფრო ღრმად შესწავლა.

6. მე-6 დავალებაში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 3, დავალება 10).

7. ლოგიკური კავშირების დადგენა-გამოყენების გასავარჯიშებლად შედეგიანია მე-7 სავარჯიშო, რომელშიც ორ ბლოკად არათანმიმდევრულადაა მოცემულია ცალკეული სიტყვები, ხოლო შემსწავლელმა უნდა იპოვოს შესაბამისი კავშირი და ამ სიტყვებისგან შეადგინოს ფრაზები. მზა ფრაზები შეუძლია

გამოიყენოს ლაპარაკის დროს. დავალება ხელს უწყობს ლექსიკის გამდიდრებას.

8. მე-8 დავალების იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 1, დავალება 9).

9. მე-9 აქტივობის მიზანია კითხვის უნარ-ჩვევაზე მუშაობა. შემსწავლელმა უნდა იპოვოს წინადადებების ნაწილები და მიუსადაგოს ერთმანეთს.

10. იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (რვეული, გაკვეთილი 8, დავალება 10).

11. იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (რვეული, გაკვეთილი 2, დავალება 11).

12. მე-12 სავარჯიშოს მიზანია ათვისებული გრამატიკული მასალის გამეორება-გაღრმავება. გრამატიკულ მასალაზე ვარჯიშთან ერთად ამ დავალებით მოწმდება წერის უნარ-ჩვევა და ლექსიკა.

13. ავითარებს წერის უნარ-ჩვევას. ამოწმებს განვლილი გრამატიკისა და ათვისებული ლექსიკის ცოდნას. კონკრეტული ზმნების გამოყენებით შემსწავლელმა უნდა შეადგინოს წინადადებები.

14. მე-14 დავალებაში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (რვეული, გაკვეთილი 8, დავალეება 14).

15. მე-15 სავარჯიშო წერის უნარ-ჩვევის განვითარებას უწყობს ხელს. შემსწავლელები ადგენენ დიალოგებს მოცემული ფოტოების მიხედვით. ამ დავალების გამოყენება ლაპარაკის უნარის განსავითარებლადაც შეიძლება. უკვე შედგენილ დიალოგებს შემსწავლელები წყვილებში გაითამაშებენ, შემდეგ კი გაცვლიან როლებს.

გაკვეთილი 10

ყველაფერი ახალი ბინისათვის

წიგნი

1. იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 1, დავალება 1).

2. მე-2 და მე-3 დავალებები ერთად უნდა შესრულდეს. ˙აქტივობების მიზანია სელექციური კითხვის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. შემსწავლელმა დაკვირვებით უნდა წაიკითხოს დიალოგი და მოცემული წინადადებებიდან აღნიშნოს სწორი / არასწორი პასუხები.

3. მე-4 და მე-5 სავარჯიშოებთან დაკავშირებით იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 4 , დავალებები 4-5).

4. მე-6 დავალებას წინ უძღვის გრამატიკული ფორმულები. თხრობითი კილოს გადაყვანა ბრძანებით კილოში. მე-6 სავარჯიშო კი ემსახურება ამ მასალის განმტკიცებას. გარდა გრამატიკული მასალის ათვისებისა, სავარჯიშო ხელს უწყობს შემსწავლელს, გაიმდიდროს ლექსიკა აქტივობაში მოცემული ზმნების დასწავლით.

5. მე-7 დავალებაში იმავე პრინციპით იხელმძღვანელეთ (წიგნი, გაკვეთილი 1, დავალება 9).

6. მე-8 დავალება დეტალური კითხვის უნარ-ჩვევის გავარჯიშებას უწყობს ხელს. ტექსტების კითხვის დროს ყურადღება გამახვილდება კონკრეტულად იმ ინფორმაციაზე, რომელზეც პასუხი უნდა გასცეს შემსწავლელმა.

7. მე-9 დავალებას წინ უსწრებს გრამატიკული ფორმულები. თანხმოვანფუძიანი სახელების კუმშვა. მე-9 სავარჯიშო კი ემსახურება ამ მასალის განმტკიცებას. ფრჩხილებში მოცემული არსებითი სახელები შემსწავლელმა უნდა ჩასვას სათანადო ბრუნვაში. დავალების შესრულებამდე მასწავლებელი სანიმუშოდ რამდენიმე მაგალითს აწერინებს.

8. მე-10 დავალებაში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 3, დავალება 10).

9. მე-11 დავალებაში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 4, დავალება 11).

10. მე-12 დავალებაში მასწავლებელი შემსწავლელთან ერთად შეაჯამებს გაკვეთილს. შესაძლებელია შემაჯამებელი დავალების პრეზენტაციის სახით წამოადგენა.

რვეული

1. 1-ლი სავარჯიშო გრამატიკულ მასალაზე მუშაობას ითვალისწინებს. მასწავლებელი ცხრილში მოცემული მაგალითების საშუალებით უხსნის შემსწავლელს ზმნის უღლებას სამივე დროში სხვადასხვა მწკრივის (აწმყო, მყოფადი, წყვეტილი) მიხედვით. უღლების დროს ყურადღება მახვილდება პირის ნიშნებზე. დავალება ითვალისწინებს ახალი ლექსიკური ერთეულების ათვისებას.

2. მე-2 აქტივობის მიზანია გაეცნოს შემსწავლელი სარეკლამო განცხადების დაწერის სტრუქტურას. დავალების მეორე ნაწილი კი გათვალისწინებულია წერის უნარ-ჩვევის გასავითარებლად, ხდება ნასწავლი მასალის ტრანსფერი.

3. მე-3 სავარჯიშოში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (რვეული, გაკვეთილი 8, დავალება 3).

4. მე-4 გათვალისწინებულია ლექსიკის გასამრავალფეროვნებლად, შემსწავლელი მისთვის ნაცნობ ფერებთან ერთად სწავლოს ახალ ფერებს, რომელთა პრაქტიკაში გამოყენებაც ხდება უკვე სავარჯიშოს მეორე ნაწილში.

აქტივობის მეორე ნაწილი გათვალისწინებულია წერის უნარ-ჩვევის გასავითარებლად. შემსწავლელი ახალი და შესწავლილი სიტყვების გამოყენებით ადგენს წინადადებებს. ხდება ნასწავლი მასალის გამეორება-გაღრმავება.

5. მე-5 სავარჯიშო 1-ელ სავარჯიშოში შესწავლილი გრამატიკული მასალის განსამტკიცებელია. მასწავლებელი კიდევ ერთხელ

ამახვილებს ყურადღებას შემასმენლისა და ქვემდებარის პირსა და რიცხვში შეთანხმებაზე. დავალებაც ამ მიზანს ემსახურება, შემსწავლელი წინადადებებში მოცემული ზმნებიდან წერს შესაბამისს.

6. მე-6 დავალებაში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 3, დავალება 10).

7. მე-7 დავალებაში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (რვეული, გაკვეთილი 9, დავალება 7).

8. მე-8 დავალების მიზანია მოსმენის უნარ–ჩვევის გავარჯიშება, სელექციურ გაგებაზე მუშაობა. შემსწავლელი უსმენს აუდიოჩანაწერს და ყურადღებას ამახვილებს მისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციაზე გამოტოვებული ადგილების შესავსებად. ამავდროულად ხდება განვლილი მასალის გამეორება-განმტკიცება.

9. მე-9 დავალებაში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (რვეული, გაკვეთილი 9, დავალება 9).

10. მე-10 დავალება დეტალური კითხვისა და ლაპარაკის უნარჩვევებზე ვარჯიშს ითვალისწინებს. შემსწავლელმა მოცემული ინფორმაციების დეტალურად წაკითხვისა და გაკვეთილში შესწავლილი მასალის საფუძველზე უნდა ისაუბროს კონკრეტული მაღაზიების შესახებ. (სასურველია, თითოეული მაღაზიის შესახებ თითო შემსწავლელმა ისაუბროს, შემდეგ გაცვალონ სასაუბრო ინფორმაცია).

11. იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (რვეული, გაკვეთილი 2, დავალება 11).

12. მე-12 დავალება ავითარებს წერის უნარ-ჩვევას. მზა ფრაზების გამოყენეთი შემსწავლელმა უნდა დაწეროს ორი სხვადასხვა შინაარსის ტექსტი. შესაძლებელია უკეთესია, თუ შემდეგ ერთ-ერთ მათგანს შემსწავლელი წაიკითხავს აუდიტორიის წინაშე.

13. მე-13 დავალებაში გრძელდება წიგნში შესწავლილი გრამატიკული მასალის გამეორება-გაღრმავება.

14. მე-14 დავალებაში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 4, დავალებები 4-5).

15. მე-15 სავარჯიშო ლაპარაკის უნარ-ჩვევის განვითარებას უწყობს ხელს. შემსწავლელები აღწერენ მოცემულ ფოტოებს და საუბრობენ მათ შესახებ.

გაკვეთილი 11

ღვინის ფესტივალზე

წიგნი

1. იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 1, დავალება 1).

2. მე-2 **ა** აქტივობის მიზანია სელექციური კითხვის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. კითხვისას შემსწავლელი ძირითად ინფორმაციაზე ამახვილებს ყურადღებას. დავალება მოიცავს კულტუროლოგიური ასპექტებს.

ბ სავარჯიშო ავითარებს ლაპარაკის უნარ-ჩვევას. მის შესასრულებლად ამაოსავალი არის მე-2 დავალების დიალოგი, რომლის შესახებაც ინფორმაციის გადმოცემა უნდა შეძლოს შემსწავლელმა.

3. მე-3 და მე-4 სავარჯიშოებთან დაკავშირებით იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 4, დავალებები 4-5).

4. მე-5 დავალებაში იმავე პრინციპით იხელმძღვანელეთ (წიგნი, გაკვეთილი 10, დავალება 6).

5. მე-6 დავალების ა და ბ აქტივობების მიზანია სელექციური მოსმენის უნარის განვითარება. შემსწავლელმა უნდა მოუსმინოს აუდიოჩანაწერს და იმის მიხედვით აღნიშნოს სწორი / არასროეი პასიხები.

6. მე-7 დავალებაში იხელმძღვანელეთიმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 7, დავალება 8).

7. მე-8 დავალებას წინ უძღვის გრამატიკული ფორმულა, ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმების წარმოება. მასწავლებელი თავდაპირველად ახსენებს შემსწავლელებს ზედსართავ სახელებს, წინა დონეზე ნასწავლ თვისების გამომხატველ სიტყვებს, შემდეგ კი მაგალითებზე დაყრდნობით უხსნის, როგორ იწარმოება ოდნაობითი ხარისხი. მე-8 დავალებით ხდება მასალის გამტკიცება.

8. მე-9 დავალებაში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 3, დავალება 10).

9. მე-10 დავალებაში ავითარებს წერის უნარ-ჩვევებს. შემსწავლელი აღწერს ფოტოებს შესწავლილი გრამატიკული კონსტრუქციებისა და ათვისებული ლექსიკის გამოყენებით.

10. მე-12 დავალებაში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 3, დავალება 12).

რვეული

1. იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (რვეული, გაკვეთილი 3, დავალება 1).

2. მე-2 დავალების შესრულებისას შემსწავლელს უვითარდება სელექციური კითხვის უნარ-ჩვევა. აქტივობის მეორე ნაწილის მიზანია წერის უნარ-ჩვევის გავარჯიშება. შემსწავლელი ბიდაწერენ წაკითხულის მსგავს ტექსტს, სტუმრის მიღებისა და სუფრის ტრადიციებზე საკუთარ ქვეყანაში. კარგი იქნება, თუ გამოკვეთენ მსგავსება-განსხვავებას ქართული სუფრისა და თავიათი ქვეყნების სუფრის ტრადიციებს შორის. დავალება შესრულდება დამოუკიდებლად. მოიცავს კულტუროლოგიურ და ქვეყანათმცოდნეობით ასპექტებს (კერძოდ, საუბარია ქართული სუფრის ტრადიციებზე).

3. მე-3 სავარჯიშო წერის უნარ-ჩვევის ავითარებს. დავალება გაკვეთილში შესწავლილ გრამატიკულ მასალაზე მუშაობას ითვალისწინებს.

4. მე-4 სავარჯიშო ლექსიკური ერთეულების ათვისებას უწყობს ხელს. დავალების შესრულებაში შემსწავლელს დაეხმარება გაკვეთილში ნასწავლი ტექსტები.

5. მე-5 სავარჯიშო არის მეათე გაკვეთილის მე-4 დავალების ანალოგიური.

6. მე-6 დავალებაში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 3, დავალება 10).

7. მე-7 სავარჯიშო ავითარებს წერის უნარ-ჩვევას და ამავდროულად, ხელს უწყობს ლექსიკური მარაგის გამდიდრებას.

8. მე-8 დავალების იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 1, დავალება 9).

9. მე-9 დავალება ავითარებს წერის უნარ-ჩვევას. შემსწავლელმა გაკვეთილში განვლილი მასალის საფუძველზე უნდა შეძლოს ანალოგიური მარტივი ტექსტის შექმნა.

10. მე-10 დავალება დეტალური კითხვის უნარს ავითარებს. დავალების შესრულებაში შემსწავლელს დაეხმარება ტექსტები, რომლებსაც გაკვეთილში გაეცნო.

11. იხელმძღვანელეთ იმავე მეთოდით (რვეული, გაკვეთილი 2, დავალება 11).

12. მე-12 დავალება ავითარებს წერის უნარ-ჩვევას.

13. მე-13 დავალება რამდენიმე კომპონენტს მოიცავს: ავითარებს წერის უნარ-ჩვევას და ხელს უწყობს გაკვეთილში ნასწავლი გრამატიკული მასალის (ადგილმდებარეობის გამოხატვა ადგილის ზმნიზედებით) და აქტიური ლექსიკის პრაქტიკაში გამოყენებას.

14. მე-14 დავალება კითხვის უნარს ავითარებს. აქტივობის მიზანია შემსწავლელმა შეძლოს ტექსტის ცალკეული ნაწილების გამოკვეთა კონკრეტულ ინფორმაციაზე დაკვირვებით.

15. იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (რვეული, გაკვეთილი 2, დავალება 15).

გაკვეთილი 12

სტუმრად ქართულ ოჯახში

წიგნი

1. იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 1, დავალება 1).

2. მე-2 და მე-3 იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 10, დავალებები 2-3).

3. მე-4 და მე-5 სავარჯიშოებთან დაკავშირებით იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 4, დავალებეი 4-5). მოიცავს კულტუროლოგიურ და ქვეყანათმცოდნეობით ასპექტებს. შემსწავლელი ეცნობა საქართველოს ერთ-ერთ ისტორიულ ქალაქს, ქუთაისს.

4. მე-6 დავალებას წინ უძღვის გრამატიკული მასალა, ახლანდელი და წასული დროის ზმნები. მე-6 დავალება კი ემსახურება ამ მასალასზე ვარჯიშს, ავითარებს წერი უნარს და ამოწმებს, როგორ იყენებს შემსწავლელი ათვისებულ ლექსიკურ მარაგს პრაქტიკაში.

5. მე-7 დავალებაში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 1, დავალება 9).

6. მე-8 დავალების მიზანია დეტალური კითხვის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში.

7. მე-9 სავარჯიშოს წინ უძღვის გრამატიკული ფორმულა (ფუძეკუმშვადი სახელები, ო თანხმოვნის შეცვლა ვ თანხმოვნით). მასწავლებელი თავდაპირველად ახსენებს შემსწავლელებს კუმშვას, განვლილ მასალას ფუძეკუმშვად სახელებზე. მე-9 დავალების მიზანია ახალ გრამატიკულ მასალაზე ვარჯიში.

8. მე-10 დავალებაში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 3, დავალება 10).

9. მე-11 ა დავალებაში გრძელდება მე-6 სავარჯიშოში ნასწავლი გრამატიკული მასალის გამეორება-გაღრმავება. ბ დავალება კი ხელს უწყობს წერის უნარ-ჩვევის განვითარებას. ამოწმებს ათვისებული ლექსიკური და გრამატიკული მასალის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობას.

10. მე-12 დავალებაში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 3, დავალება 12).

რვეული

1. იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (რვეული, გაკვეთილი 3, დავალება 1).

2. მე-2 დავალებაში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (რვეული, გაკვეთილი 11, დავალება 2) მოიცავს კულტუროლოგიურ და ქვეყანათმცოდნეობით ასპექტებს.

3. მე-3 სავარჯიშო წერის უნარ-ჩვევის ავითარებს. დავალება გაკვეთილში შესწავლილ გრამატიკულ მასალაზე მუშაობას ითვალისწინებს. შემსწავლელისთვის ორიენტირი არის ზმნები, რომელთა მიხედვითაც უნდა შეადგინოს წინადადებები.

4. მე-4 სავარჯიშოში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (რვეული, გაკვეთილი 11, დავალება 4).

5. მე-5 სავარჯიშოში ხდება გაკვეთილში ნასწავლი გრამატიკული მასალის (-ვით თანდებული თანხმოვანფუძიან სახელებში) გამეორება-განმტკიცება. ავითარებს წერის უნარ-ჩვევას.

6. მე-6 დავალებაში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 3, დავალება 10).

7. მე-7 დავალებაში ხდება გაკვეთილში შესწავლილი გრამატიკული მასალის გამეორება-განმტკიცება. აქტივობა ავითარებს წერის უნარ-ჩვევას.

8. მე-8 დავალების იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (წიგნი, გაკვეთილი 1, დავალება 9). მოიცავს კულტუროლოგიურ და ქვეყანათმცოდნეობით ასპექტებს.

9. მე-9 დავალება შესწავლილი გრამატიკული მასალის გამეორებასა და გაღრმავებას უწყობს ხელს. შემსწავლელმა ცხრილში გამოტოვებული ადგილები უნდა შეავსოს ზმნის შესაბამის პირში.

10. მე-10 დავალება უმჯობესია, შესრულდეს ინდივიდუალურად და შემდეგ განხილულ იქნას წყვილებში ან ჯგუფთან ერთად. აქტივობის მიზანია ლექსიკაზე მუშაობა, კერძების სახელისა და მასალის ერთმანეთთან დაკავშირება. თვალსაჩინოების სახით დამხმარე საშუალებად დავალებაში მოცემულია ფოტოები. სავარჯიშო მოიცავს ქვეყანათმცოდნეობითსა და კულტუროლოგიურ ასპექტებს. კერძოდ, შემსწავლელი ეცნობა ქართული კერძების მომზადების წესებს.

11. იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (რვეული, გაკვეთილი 2, დავალება 11).

12. მე-12 დავალება ავითარებს წერის უნარ-ჩვევას. მზა ფრაზების გამოყენეთი შემსწავლელმა უნდა დაწეროს ორი სხვადასხვა შინაარსის ტექსტი. უკეთესია, თუ შემდეგ ერთ-ერთ მაათგანს შემსწავლელი წაიკითხავს აუდიტორიის წინაშე.

13. მე-13 დავალება ავითარებს წერის უნარ-ჩვევას. შემსწავლელმა, გაკვეთილში განვლილი მასალის საფუძველზე, უნდა შეძლოს ანალოგიური მარტივი ტექსტის შექმნა საკუთარი ქვეყნის სამზარეულოსა და სუფრი ტრადიციის შესახებ.

14. მე-14 დავალება კითხვის უნარს ავითარებს. აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა შეძლოს ტექსტის ცალკეული ნაწილების გამოკვეთა კონკრეტულ ინფორმაციაზე დაკვირვებით. მოიცავს კულტუროლოგიურ და ქვეყანათმცოდნეობით ასპექტებს. შემსწავლელი ეცნობა საქართველოს სხვადასხვა კუთხის ტრადიციულ კერძებს.

15. იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (რვეული, გაკვეთილი 2, დავალება 15).

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

A2 დონეზე განვლილი მასალის შემაჯამებელი გაკვეთილია. ითვალისწინებს ყველა უნარის (კითხვა, წერა, მოსმენა, ლაპარაკი) შემოწმებას. ამ თავში მოცემული დავალებების შესრულების შემდეგ, შემსწავლელი იგებს თავისი სუსტი და ძლიერი მხარეების შესახებ. ეძლევა საშუალება, გაიმეოროს მასალა, რომელშიც აქვს ხარვეზები.

შესრულებული დავალებების შემოწმების შემდეგ მასწავლებელსაც ექმნება ნათელი სურათი, კიდევ ერთხელ რაზე უნდა გაამახვილოს ყურადღება კონკრეტულ შემსწავლელთან დაკავშირებით, რომელი უნარის განვითარება სჭირდება მას უფრო მეტად. წერისა და მეტყველების დროს რა სახის გრამატიკულ შეცდომებს უშვებს და რამდენად ადეკვატურად იყენებეს შესწავლილ ლექსიკურ მარაგს.

რა ვისწავლეთ და რა შეგვიძლია

წიგნი

1. აქტივობის მიზანია ინტერესის აღძვრა ფოტოების მიმართ, წინარე ცოდნის აქტივაცია. დავალებით მოწმდება ლაპარაკის უნარს-ჩვევა.

2. დავალების შესასრულებლად შემსწავლელს უწევს, რომ გაიხსენოს (მე-11 გაკვეთილი) ინფორმაცია შესადარებელი ღვინოების შესახებ. აქტივობის მიზანია, შეამოწმოს, რამდენად შეუძლია შემსწავლელს ისაუბროს რაიმეს მსგავსება-განსხვავაბებზე.

3. დავალების მიზანია, შემსწავლელმა დასმულ შეკითხვებს უპასუხოს ერთი სიტყვის მონიშვნით. ამ დავალების შესრულებისას შემსწავლელს არ უწევს ტექსტების გათვალისწინება, გამოხატავს მხოლოდ საკუთარ აზრს. ამ აქტივობით მოწმდება კითხვის უნარ-ჩვევა.

4. აქტივობა ამოწმებს წერის უნარ-ჩვევას. შემსწავლელმა A2 დონეზე განვლილი მასალის საფუძველზე უნდა შეძლოს ანალოგიური მარტივი ტექსტების შექმნა.

5. **ა** სავრჯიშოში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (ამავე გაკვეთილის მე-3 დავალება).

ბ. მოწმდება წერის უნარ-ჩვევა. დავალების შესრულებაში შემსწავლელს დაეხმარება ამავე სავარჯიშოს ა დავალებაში მის მიერვე კითხვებზე გაცემული პასუხები.

6. მე-6 დავალების მიზანია, შეამოწმოს ლაპარაკის უნარ-ჩვევა. შემსწავლელი აქტიურად იყენებს A2 დონეზე შესწავლილ ლექსიკურ ერთეულებს. სასურველია, დავალება შესარულდეს წყვილებში.

7. მე-7 დავალებაში შემსწავლელს საშუალება აქვს, აირჩიოს სასურველი თემა და ისაუბროს მასზე ჯგუფში. მოწმდება ლაპარაკის უნარ-ჩვევა.

8. ბოლო დავალებაში შემსწავლელს ეძლევა საშუალება, აირჩიოს მისთვის სასურველი თემა, რომელზეც ისაუბრებს ჯგუფის წინაშე. საუბრის დროს, რა თქმა უნდა, გათვალისწინებულია გრამატიკულად რამდენად სწორად საუბრობს და ადეკვატურად იყენებს შესწავლილ ლექსიკურ მარაგს.

რვეული

1. 1-ლი დავალება არის განვლილი გრამატიკული მასალის შემაჯამებელი. კერძოდ, შემსწავლელებმა უნდა გაიხსენონ კუმშვა და ნიმუშის მიხედვით დაწერონ დანარჩენი სიტყვები.

2. მოწმდება შესწავლილი გრამატიკული მასალა და მის გამეორებასა-გაღრმავებას უწყობს ხელს. ყურადღება გამახვილებულია ზედსართავი სახელების (ყოლა-ქონისა და უყოლობა-უქონლობის სახელები) წარმოებაზე.

3. მე-3 დავალება არის განვლილი გრამატიკული მასალის გამეორება. შემსწავლელი კიდევ ერთხელ იხსენებს ზედსართავი ხარისხის ფორმებს.

4. პირველი სამი სავარჯიში გარდა იმისა, რომ გრამატიკული მასალის გამეორება -გაღმავებას უწყობს ხელს, არის დონის შემაჯამებელი აქტივობა, რომლის მიზანია წერის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში და ლექსიკის გამრავალფეროვნება.

5. მე-4 დავალება არის აქტიური ლექსიკის განსამტკიცებელი. შესწავლილი ლექსიკური მარაგის გათვალისწინებით შემსწავლელმა დავალებაში მოცემული სიტყვების შინაარსიდან გამომდინარე თემატურად შუსაბამო / განსხვავებული სიტყვა უნდა მოძებნოს. ამ დავალებით მოწმდება შემსწავლელის უნარი, გამოიწენოს აქტიური ლექსიკური ერთეულები პრაქტიკაში.

6. მე-5 აქტივობა გრამატიკული მასალის შემოწმებას ითვალისწინებს.

7. დავალებით მოწმდება მოსმენის უნარ-ჩვევა. შემსწავლელმა აუდიოჩანაწერში მოსმენილი წინადადებები უნდა დაწეროს უშეცდომოდ. დავალება ამავდროულად ამოწმებს წერის უნარს.

8. გრამატიკული მასალის შემაჯამებელია (შემსწავლელმა ზმნები უნდა დაწეროს შესაბამის დროში).

9. მე-8 დავალებაში იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით (რვეული, გაკვეთილი 3, დავალება 7).

10. დავალება ითვალისწინებს A1 და A2 დონეებზე ათვისებული გრამატიკული მასალის შემოწმებას.

11. მე-10 დავალება წერის უნარ-ჩვევასთან ერთად ამოწმებს, რამდენად შეუძლია შემსწავლელს A2 დონეზე ათვისებული ლექსიკისა და გრამატიკული კონსტრუქციების გამოყენება კონკრეტული ტექსტის შედგენისას. შემსწავლელს თითო შეცდომაზე დააკლედება ერთი ქულა.

www.geofl.ge